

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

15.02.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ქუჩის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2017 წლის 22 დეკემბრის №10 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჯორჯიაშვილის ქუჩას გადაერქვას სახელი და მიენიჭოს ვახტანგ კვარაცხელიას სახელი.
2. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აზრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში), ცნობარების და სხვ. დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვ.)
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი რ.ლალიძე ქუჩა N12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია